



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3526
28/06/2018

3526-09-2-201806281122



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათი განსახილველად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 807
28/06/2018

807-09-3-201806281113



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის როლანდ ლაშხიას

განმარტებითი ბარათი

2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 3 მაისის N952 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2558849 ლარი; მათ შორის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 942278 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აკეთის, აცანის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების, რკინა ბეტონისა და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 768297 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია 848274 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N957 განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 180000 ლარი. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე გამოყოფილი თანხა მიიმართება სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის ზედამხედველობის მომსახურებას დაემატოს 110000 ლარი.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში (მუნიციპალიტეტისათვის ნაგავმზიდისა და კონტეინერების შეძენისათვის) აღებული სესხის სარგებლის პროცენტის გადახდის უზრუნველყოფისათვის გამოიყოს 77000 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მიზანშეწოლილია გაიზარდოს სოც.კულტურული ღონისძიებების პროგრამები 11000 ლარით, (მათ:შორის შემოქმედთა და წარმატებულ სპორტსმენებისა და მწრთვანელების წახალისებისთვის 6000 ლარით და სოც.კულტურული ღონისძიებების ტრანსპორტირების დაფინანსება 5000 ლარით).

შპს „ლანჩხუთი“-ს წერილის მომართვის საფუძველზე სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის მიზნით დამატებით გამოიყოს 20000 ლარი.

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაიზარდოს 30000 ლარით. ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის გურია“-ს დაფინანსება გაიზარდოს 30000 ლარით,

ა(ა)იპ უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის სუბსიდირების თანხის 39500 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 39500 ლარით წლის დარჩენილ პერიოდში მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის. (სატენდერო წინადადების მომზადების მიზნით).

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსების 12000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი 12000 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებთა გაერთიანების სამსახურის წერილის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შემცირდეს სუბსიდირების დაფინანსება 5690 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5690 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა შეუმცირდეს სუბსიდირების დაფინანსება 20000 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 20000 ლარით.

ცვლილებით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს 278000 ლარით არაფინანსური აქტივების რეალიზაციის (კლების) ხარჯზე.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური